№ 203
სეკდემბრის 24, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 203
სეკდემბრის 24, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია"

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:— ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

გაზეთი „ივერია"

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის"** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის" რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ქავკასიის სავაჭრო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фармацевтика.

ტელეფონი № 741.

ეკატერინე იაკობის ასული საჯაიშვილისა (**საკოვისა**)

ეკატერინე იაკობის ასული საჯაოვისა ულრმესს მადლობას უძღვნის ყველა იმ დაწესებულებასა და კერძო პირს, რომელთაც პირადად ანუ წერილითა და დეპეშით თვისი გულ-მტკივნეულობა გამოუცხადეს მისის ძვირფასის მეუღლის **იოსებ გიორგის ძის სააკოვის** გარდაცვალების გამო.

(1—424—1)

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, სამშაბათს, 24 სეკდემბერს,
ხარკოვის რუსულ ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

☛ **აიდა** ☚

ოპერა 4 მოქმედებად და 7 სურათად მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინა, კარამზინა-ჟუკოვსკისა. ბ-ნნი: ვასილიევი, პოლუიანოვი, იზმაილოვი, პეტროვი, პევცოვი და სხ.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.**

დაუკრავს სამხედრო მუსიკა 1-ლი კავკასიის საპიორთა ბატალიონისა ბ-ნ **რიჩჩარის** ხელმძღვანელობით.

დეკორაციები მხატვრის სუვოროვისა, ტანისამოსი და აქსესუარები საკუთარის სახელოსნოსი.

კაპელმეისტერი **შტეინბერგი,** ხორმეისტერი ა. გ. **ზვერინცევი,** ადმინისტრატორი მ. **დურანდინი.**

დასაწყისი სად. 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, ოთხშაბათს 25 სექტ., ბ-ნ ა. პ. ბონაჩიჩის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა **„ევგენი ონეგინი".** ლენსკის როლს შეასრულებს ბ-ნი ბონაჩიჩი.

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში.

(10—6.—9)

ნაფიცი ვექილი

გ. ი. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ,
სახლი № 113.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ტფილისის მოურავის თანაშემწეობის აღმასრულებელი ამით აცხადებს ბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ არჩევა ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებისა მეორე საარჩევანო განყოფილებაში დანიშნულია 26 ენკენისთვეს 1902 წ. ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

საარჩევანო კრებაში შესასვლელი ბილეთები დაურიგდებათ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 25 ენკენისთვემდის და არჩევნების დღეს-კი თვით „ტფილისის სობრანიის" სადგომში დილის 10 საათიდგან კენჭების დათვლის დაწყებამდის. (3—6.—1).

ისყიდება იაფად

ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობის გვერდზედ, ორი ნაჭერი მამულისა. ერთი 264 და მეორე 623—საჟენი ფრიად ხელ-მისაცემის პირობით. ვერაზედვე ისყიდება ორი დიდი სახლი.

პირობის შეტყობა შეიძლება „ივერიის" რედაქციაში, დილის ათიდგან სამ საათამდე.

(3—3)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო

საზოგადოებისაგან

ბ-ნნთ წევრთ კავკასიის **საიმპერატორო** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათ, სოფლის მეურნეთა, მიწათ-მფლობელთა და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისაც საინტერესოდ აქვს სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა საქმე და საგანი, მოვიწვევთ საზოგადოების საზოგადო კრების სხდომაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 24 სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ.

განსახილველი საგნები:

1. მიმდინარე საქმეები.
2. განხილვა განსაკუთრებულ ბჭობის პროგრამისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას. (2—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½, საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ძ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებით 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 24 სეკდემბერს.

კვირას, ამ თვის 22-ს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, უნდა მომხდარიყო ხმოსანთა არჩევანი ქალაქის პირველ საარჩევანო ნაწილისა, და მოხდა კიდეცა. კენჭის ყრა მოისურვა სულ 48 კაცმა, მათ-შორის 15 ქართველი იყო, 13—რუსი და 20 სომეხი. არჩეულ იქმნა 23 კაცი: 18 სომეხი, 1 რუსი და 4 ქართველი. გარდა ამისა, ერთს კანდიდატს, სახელდობრ ბ-ნ ა. ფურცელაძეს, კენჭების თვლის დროს რაღაცა გაუგებარი ამბავი შეემთხვა: მაშინ, როდესაც სხვანი ყველანი 292 კენჭით ირჩეოდნენ, ბ-ნ ა. ფურცელაძის კენჭებს უცაბედად ოცი კენჭი მოემატა, 149 თეთრი კენჭი მიიღო და 163—შავი, 292 კენჭის მაგივრად, 312 კენჭი მოუვიდა. ამიტომაც ჯერ გამორკვეული არ არის, ამორჩეულთა შორის უნდა ჩაირიცხოს ბ-ნი ფურცელაძე თუ არა?

ჯერ-ჯერობით აქ, ამ არჩევანის შესახებ, ბევრს არას ვიტყვით. ვსთქვათ, სომეხთა აზრით ქართველების კანდიდატები ისეთი უვარგისნი იყვნენ, რომ მათი არჩევა სათაკილო იქნებოდა მათთვის, თუმცა ამ კანდიდატებ შორის ერივნენ ისეთნი, რომელთაც სომეხნი ვერ დაიწუნებდნენ. ასეთნი იყვნენ, მაგალითად, ტფილისის გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე, თავად-აზნაურთა სკოლის წარმომადგენელი ბ-ნი ი. ბარათაშვილი, ნაფიცი ვექილი ბ-ნი დიასამიძე, ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად ყოფილი ბ-ნი ვ. თულაშვილი, მაზრის უფროსად და მომრიგებელ შუამავლად ნამყოფი ბ-ნი ნ. ალექსეევ-მესხიშვილი; მაგრამ ეს, როგორღა მოხდა, რომ იმ 13 რუსში, რომელთაც მოისურვეს ხმოსნად ყოფნა, მხოლოდ ერთი კაცი სცნო ღირსად ჩვენმა შორსმხედველმა და წინ-დახედულმა სომხობამ და კეთილ-ინება იმის არჩევა.

ამ საგანს შემდეგ უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ტფილისი

✦ კვირას, 22 სეკდემბერს, იყო კრება ხმოსნების ამოსარჩევად პირველ საარჩევნო განყოფილებაში. კრება დაიწყო სწორედ 12 საათზედ ქალაქის საზაფხულო საკრებულოს სადგომში. დაესწრო 285 ამომრჩეველი; ამ 285 ამომრჩეველს ჰქონდა 292 კენჭი, რადგანაც 7 კაცი ამომრჩეველთაგან მოსული აყო ორ-ორის კენჭით. ქალაქის მოურავის მოადგილემ ქალაქის დებულების მე-41 მუხლის ძალით ამომრჩევლებს წაუკითხა 24, 33 ქალაქის დებულების მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ ვინც უკანონოდ მიიღებს ამორჩევაში მონაწილეობას, იგი დაისჯება 1434 სასჯელ.-დებულებათა მუხლის ძალით. შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილემ ქალაქის დებულებათა 39 მუხლის ძალით, მიიწვია ასისტენტებათ შემდეგი ამომრჩევლები: გრიგორიევი მ. გ., პეტროვი ა. ი., კორიტინსკი ფ. ი., თეთრაძე ნ. ა., დენისენკო ნ. მ., რჩეულოვი გ. დ., ქართველიშვილი ი. მ., მხეიძე ი. ნ., ანანოვი მ. ი., ალიხანოვი ი. მ., თაიროვი ი. ა., ყავრიევი კ. ი., მულიარსკი გ. ი., კულისინსკი ს. ი., პსაროვი ი. ე. შემდეგ შეუდგნენ კენჭის ყრას; როდესაც კენჭის ყრა გათავდა, პირველი ორის ყუთის კენჭები დასთვალა თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა. აქ აღმოჩნდა, რომ შავი და თეთრი კენჭი შეადგენდა 290 და არა 292-ს; კენჭებით ამისთანა განსხვავება იმითი აღსნეს, რომ ორმა ამომრჩეველმა უარი განაცხადა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზედ. შემდეგი კენჭების თვლა ასისტენტებმა დაიწყეს. სულ დადგმული იყო 48 ყუთი. უნდა ამოერჩიათ პირველ ნაწილიდგან 27 ხმოსანი და ხუთიც მათი კანდიდატი. ხოლო ამოარჩიეს 24 ხმოსანი. მოგვყავს იმათი სიაც, რომელთ უყარეს კენჭი. ამ სიაში ამორჩეულთა გვარებს ვარსკვლავებით აღვნიშნავთ:

*1) მ. ზ. ავთანდილოვს 194 თ. 96 შ., *2) ი. ს. ალიხანოვს 218 თ. 72 შ., 3) თავ. რ. ფ. ამირეჯიბს 107 თ. 183 შ., *4) თავ. ი. მ. ბებუთოვს 186 თ. 105 შ., 5) თ. ნ. ბოგომოლოვს 108 თ. 182 შ., 6) ვ. მ. ბარცოვს 93 თ. 196 შ., 7) პ. ს. ვასილიევს 109 თ. 181 შ., *8) მ. ნ. ვესელოვზოროვს 167 თ. 121 შ., 9) ვ. დ. გაბაშვილს 128 თ. 160 შ., 10) გ. დ. გაბაშვილს 126 თ. 164 შ., 11) ფ. კ. გეინის 141 თ. 150 შ., *12) ა. გ. ჯაბადარს 162 თ. 127 შ., 13) თავ. გ. ნ. დიასამიძეს 139 თ. 152 შ., *14) ი. მ. დოლუხანოვს 205 თ. 85 შ., 15) მ. ანდ. ზდანევიჩს 120 თ. 171 შ., 16) ალ. ლ. კოზლოვს 118 თ. 171 შ., *17) გ. ა. კიუჩარიანცს 188 თ. 105 შ., *18) ს. დ. ლისიციანს 202 თ. 88 შ., 19) კ. ი. მესხიშვილს 127 თ. 164 შ., *20) თავ. ვ. ს. მიქელაძეს 169 თ. 121 შ., *21) ა. ს. ფირალოვს 164 თ. 125 შ., *22) ა. ფ. ფრიდონოვს 218 თ. 73 შ., *23) ა. ნ. ფურცელაძეს 149 თ. 163(?) შ., *24) მ. ნ. სვეჩნიკოვს 162 თ. 128 შ., *25) ს. ქ. სულხანოვს 149 თ. 141 შ., *26) ნ. ი. თამამშევს 186 თ. 105 შ., *27) ი. თ. ტიგრანოვს 193 თ., 97 შ., 28) ი. ა. ტიხენკოს 106 თ. 185 შ., 29) ვ. დ. თულაშვილს 119 თ, 171 შ., *30) თ. დ. ნ. თუმანოვს 203 თ. 90 შ., 31) ა. გ. ტურკოვსკის 112 თ. 179 შ., *32) თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილს 169 თ. 121 შ., *33) თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს 205 თ. 85 შ., 34) მ. ე. ჩიმიშკიანცს 119 თ. 171 *35) ი. ა. შადინოვს 196 თ. 96 შ., *36) გ. ე. კირაკოზიანცს 188 თ. 102 შ., 37) გ. ა. კლიმოვსკის 73 თ. 215 შ., 38) ტ. ვ. ტეროგანეზოვს 109 თ. 182 შ., 39) ვ. ა. სარაჯიშვილს 143 თ. 147 შ., 40) ი. ზ. ალექსი-მესხიშვილს 110 თ. 180 შ., *41) თავ. გ. მ. თუმანოვს 233 თ. 57 შ., 42) ტ. ს. ქიქოძეს 141 თ. 148 შ., 43) თავ. ი. ა. ბარათაშვილს 142 თ. 149 შ., 44) პ. კ. ვერგსოვს 97 თ. 194 შ., 45) ნ. ი. კამოევს 141 თ. 149 შ., *46) კ. სტ. სარქისოვს 156

თ. 134 შ., *47) ა. დ. სურენიანცს 155 თ. 135 შ., 48) ვ. ა. ტირიონს 88 თ. 203 შ. ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს ამოუვიდა 149 თეთრი კენჭი და 163 შავი; ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგანაც თეთრი და შავი უნდა ყოფილიყო სულ 290 და ამ შემთხვევაში-კი 312 კენჭი ამოვიდა თეთრი და შავი. ეს გარემოება, ამომრჩევლების დადგენილებით, შეტანილ იქმნა საარჩევნო ოქმში. დანარჩენ 4 ხმოსნის და მათთან ხუთის კანდიდატის არჩევნები დანიშნულ იქნება, როცა სულ გათავდება არჩევნები.

ქალაქ ანდიჟანიდგან (ფერგანის ოლქში) ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას შეეკითხნენ, შეგვატყობინეთ სად და რა ფასად შეიძლება შევიძინოთ ურწყავ ალაგებში სათესლე ბრინჯიო და სთხოვენ გაუგზავნონ აგრედვე ის ნაწერები, რომელიც შეეხება ამ მცენარის მოყვანას ურწყავში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ საზოგადოდ ბრინჯის მოყვანას უხვად სჭირდება წყალი, თუ ის ნიადაგი, სადაც ბრინჯი სთესია, მუდამ სველი არ არის, ბრინჯი არ მოდის. ამისთვის ხშირად ის ადგილები, სადაც ამ მცენარის თესვას მისდევენ, ჭაობათ არის ხოლმე გადაქცეული, რაიც ჰბადავს მრავალ ავადმყოფობას; არის იმისთანა ბრინჯიც, რომელსაც წვიმაც ჰყოფნის. ამისთანა თვისების ბრინჯის თესლი გამოტანილია ტიბეტიდგან 1873 წელს; ამ ადგილებში ეს თესლი წვიმით ირწყვის და მშვენიერი მოსავალიც მოდის. აქამომდე ამ ბრინჯის თვისება თუმცა იცოდნენ კავკასიაში მცხოვრებლებმა, მაგრამ მის მოყვანას-კი აგრე რიგად არ მისდევენ.

◆ ტფილისის სამეურნეო-საბაღოსნო სკოლაში დასათავრებელი ეგზამენები ბუნებისმეტყველებიდან დანიშნულია მომავალ 5 ოკდომბრისათვის, ხილეულობისა, ვენახისა და ბოსტნეულობის საგნებიდგან გამოცდა დანიშნულია 7 ოკდომბრისათვის, ხოლო პრაქტიკული გამოცდა შეგირდებისა დანიშნულია 8 ოკდომბრისათვის.

◆ შაბათს, 21 სეკდემბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში დანიშნული იყო წარმოსადგენად განსვენებულ ა. ცაგარლის კომედია „ციმბირელი", მაგრამ გადაიდო მომავალ შაბათისათვის.

◆ კვირას, 22 სეკდემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად; წირვას დაესწრნენ ქართულისა და რუსულ გაზეთების წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ერევნიდგან შეეკითხნენ, შეგვატყობინეთ რა ნაწერებია დაბეჭდილი რუსულ ენაზედ კავკასიაში თამბაქოს მოყვანის შესახებაო. უფრო საჭიროა მოგვაწოდოთ ცნობანი შავი ზღვის ნაპირად და სიღნაღის მაზრაში ამ მცენარის მოყვანისა და მოვლის შესახებაო.

◆ ჩვენ გვიამბეს, რომ შაბათს, 21 სეკდემბერს, დიდის ამბით დაუსაფლავებიათ სოფ. ალში ფოთის საკრებულო ტაძრის დეკანოზი გრ. მაჭარაშვილი. ფოთიდან ბევრნი ჩამოსულან და პატივი უციათ განსვენებულის ხსენებისათვის. დასწრებია დასაფლავებას ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. ეპ. ალექსანდრეს მაგიერ, რომელიც შეუძლოთ ყოფილა, მათის თხოვნით, მწირველი ყოფილა ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა. განსვენებულის კუბო შეუმკიათ მრავალის გვირგვინით.

◆ ქალაქის ამშენებელმა განყოფილებამ გადასცა ქალაქის გამგეობას ფოტოგრაფიული სურათი ნატალია შიოევის ძეგლისა და სთხოვს, შეატყობინეთ მარმარილოს მექანდაკეს ტაშაჩანს, რომ მან ძეგლზედ გამოქანდაკებულზედ მდგომს ანგელოზებს გაუკეთოს ფრთები, ხოლო მჯდომს ანგელოზს თმები ჰქონდეს შხირიო.

◆ მთა-მადნის ინჟინერმა ხატისოვმა და მისმა ამხანაგმა ბრაილოვსკიმ, რომელნიც სოლოლაკის მთის გათხრას და გვირაბის იჯარით აღებას ითხოვენ, შეიტანეს ქალაქის გამგეობაში განცხადება და სთხოვენ, სანამ ეს საგანი ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად, გამგეობამ განიხილოს ფინანსიურის მხრივ, მიუხედავად იმისა, ამ გვირაბის გათხრას აბანოს წყლებზედ ექნება რაიმე გავლენა, თუ არაო. მხოლოდ ამ საგნის განხილვის შემდეგ იქმნას საბჭოს წინაშე წარდგენილი ჩვენი პროექტი. თუ საბჭომ შეიწყნარა და დაამტკიცა ჩვენი თხოვნა, საბჭოს დამტკიცება ძალაში შევიდეს მაშინ, როცა მეცნიერულმა გამოკვლევამ დაამტკიცოს ექსპერტების გამოკვლევა, რომ გვირაბის გაყვანა არავითარს ვნებას არ მოუტანს აბანოს წყაროებსაო.

◆ დღეს ტფ. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან ზოგიერთნი მემამულენი, ღვინის მკეთებლები და სამეურნეო დარგის სპეციალისტები; კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად უმაღლესად დამტკიცებული პროგრამმა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ.

◆ წმინდა სამების საეკკლესიო კარხნის გამგეობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რადგანაც ქალაქის მცხოვრებლებთან ერთად ვიხდით ყველა ხარჯსა, ამიტომ დააგეთ ქვაფენილი ვარდის უბნის ქუჩაზედ და წყნეთის ქუჩის შესახვევში. წვიმის დროსაო, —სჩივის კარხნის გამგეობა,— შეუძლებელია ამ ქუჩებში მისვლა-მოსვლა თვით ფაიტონითაც-კიო. რადგანაც ამ შემოდგომის პირზედ მოსალოდნელია თოვლ-ჭყაპი და მცხოვრებთ გაუძნელებს მისვლა-მოსვლას ამ ქუჩებზედ, ამიტომ სასურველია, რომ გამგეობამ ამ ქუჩების მოკირწყლა დააჩქაროსო.

—

შეცდომის გასწორება: გაზ. "ივერიის" კვირის ნომერში, ხორცის დუქნების კომისიის ანგარიშში შეცდომით დაბეჭდილია: „ყარაიის სათიბ ადგილებიდგან ყოველ წლობით გააქვთ ორასი ათასი თუშნის თივა"; —უნდა იყოს. . . . . . . „გააქვთ ორასი ათასი ფუთი თივა" და სხვა...

ჩვენებური ამბები

მათხოჯი. ამას წინად ჩიმაკაძემ აუწყა საზოგადოებას: მთავრობა იძლევა ერთის მასწავლებელ ქალის ჯამაგირს, თუ თქვენ ისურვებთ და შენობას ააგებთ ქალების სკოლისთვის, სადაც ისწავლიან წერა-კითხვასა და ხელ-საქმესო. ამ კეთილის საქმის მაუწყებელს ბევრმა ავის თვალით შეხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნახევარი წელიწადია, სიმინდს ვყიდულობთ, ფუთს თითო მანეთად და სად შეგვიძლიან სკოლის აშენებაო. ქალები-კი არა, ვაჟები ვერ გამოგვიზრდიაო". თუმცა ბევრია უარის მთქმელი, მაგრამ, იმედია, ამ სიმპატიურ საქმეს ბოლო არ მოეღება.

აქეთ მშვენიერი ამინდებია და მოსავალსაც გვარიანი პირი უჩანს. თუმცა სიმინდის მოსავალი გაგვიფუჭა წვიმამ, მაგრამ ღვინო მაინც საკმაოა, ასე რომ თითო მოსახლეს მოუვა უკანასკნელი 14—15 საპალნემდე.

მათხოჯელი.

—

გორდი (სენაკის მაზრა). გორდი არის ერთი მშვენიერი სოფელი, რომელიც იმყოფება ცხენის წყლის მარჯვენა მხარეს და აქვეა საზაფხულო სახლი თავად მინგრელსკისა. სოფელი შემკულია მშვენიერის ჰაერით. ზაფხულობით აქ მოდის მრავალი ხალხი. წელს, შედარებით სხვა წლებთან, მოსავალი ნაკლები იყო. გზები არ გვივარგა, თუმცა ეს გზები ათის წლის წინად თავად მინგრელსკის ბრძანებით გაკეთებული იყო, მაგრამ მას აქეთ ისევ წახდა. აქეთ ჯერ რთველი არ დეწყიათ და ძალიან-კი აცივდა. მახლობელი მთების წვერები კიდევაც მოთოვა.

გორდელი.

—

აბაშა (სენაკის მაზრა). სწავლა-განათლებამ ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი ნაბიჯი წადგა წინ. ეს, რასაკვირველია, აიხსნება იმით, რომ ხალხმა სრულებით შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა. მაგრამ ყველა ამასთან ისიც უნდა ავღნიშნოთ, ჩვენდა სამწუხაროდ, რომ სწავლა-განათლებასთან ერთად ხალხში ვრცელდება ცრუ-მორწმუნეობა. ერთის თვის წინად ვიღაც კაკარავა, 12 წლის გოგო, გახდა ავად და მთელი ერთი დღე უგრძნობლად იყო. რამოდენისამე დღის შემდეგ ის შეიქნა უკედ. ხალხში ხმა გავრცელდა, რომ „ესა და ეს ერთი დღე მკვდარი იყო და საღამოზე გაცოცხლდაო". აურებელი ხალხი აწყდებოდა ყოველ მხრივ ამ „მკვდრეთით აღდგარს" სანახავად. ეს გოგო, როცა ხალხი ბევრი შეგროვდებოდა, ილაპარაკებდა, რომ „ღმერთი თქვენზე გულნაკლებიაო, ბევრ ცოდოებს იდენთო, რატომ აღთქმა გატეხეთო", ე. ი. პარასკეობით მუშაობა და სხვა ბევრი... ხალხმა ამ რვა წლის წინედ აღთქვა, რომ „პარასკევობით არ ვიმუშავებთ, თუ ღმერთმა წვიმა გვაღირსაო" და ეს „აღთქმა" თითქმის დავიწყებული იყო. ახლა-კი ისევ შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ არ იმუშაონ პარასკეობით, არ ატარონ ურემი კვირაობით და სხვა. ეს მაგალითი საკმარისია, რომ შეიტყოთ, რა ფასი აქვს ცრუ-მორწმუნეობას ხალხში. ჩვენში არ აღმოჩნდა ისეთი ვინმე, ვისაც ჩაეგონებინა ხალხისთვის მავნე მხარე ამ სისაძაგლისა. კვირაში ორს დღეს მუშა კაცი ჰკარგავს, ერთს მათგანს (პარასკევს) სულ უსაფუძვლოდ. ჩვენში

არ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც ჩაეგონებია ხალხისთვის მავნე მხარე ამ სისაძაგლისა. კვირაში ორს დღეს მუშა კაცი ჰკარგავს, ერთს მათგანს (პარასკევს) სულ უსაფუძლოდ. ჩვენში

ახლა გლეხები ფეხ-გადაჭდობილი შინ სხედან და ესაც მაშინ, როდესაც ერთი წამიც მათთვის ძვირფასია, როდესაც ერთად-ერთი მათი სარჩო სიმინდი მინდორში იღუპება.

ალ.

—

ჭიათურა. ყველას მოგეხსენებათ, თუ რამდენად გაითქვა სახელი ჭიათურამ თავის წარმოებით, არა თუ ჩვენს დაბა-ქალაქებში, არამედ უცხოეთშიაც-კი, საიდგანაც მოაწყდა აუარებელი ხალხი, როგორც ფულიანები, ისე მუშა ხელიც. იყო დრო, როდესაც აქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, მთელი ჭიათურა ერთს აბობოქრებულს და დაუცხრომელს ზღვას წარმოადგენდა, ზღვას, რომელმაც არავითარი დაღალვა არ იცის და დღე და ღამ თავისის ტალღებით ებრძვის ყოველსავე დაბრკოლებას... ჭიათურაც ასეთს სურათს მოგაგონებდათ ერთს დროს; მან არ იცოდა ძილი, მოსვენება, მის განუწყვეტელს შრომას და მოძრაობას ვერაფერი ვერ აჩერებდა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ განქრა ყოველივე!!. იყო და აღარ არის!.. წინანდელი სიცოცხლით სავსე ჭიათურა, რომელიც თავის ხმაურობით მთელი ქვეყანას ყურადღებას იპყრობდა, დღეს გულ-საკლავ მდუმარებას მისცემია... ყველგან სიჩუმე, ყველგან მყუდროება, მოწყენა და სამძიმარი... აი, დღევანდელი სურათი ჭიათურისა...

რა არის მიზეზი? ქვის ფასის უზომოდ დაცემა, რომელიც მართლაც იმ ზომამდე დაეცა ამ ბოლოს დროს, რომ არა-თუ ხელს აძლევს მისი დამუშავება წვრილს მწარმოებელს (რომლებიც მუდამ შეადგენდნენ და შეადგენენ ჭიათურის მოძრაობის სიცოცხლის ძარღვს), არამედ ამ პირობებში მუშაობით ჯიბიდგანაც მოუწევთ დადება და ეს ვისთვის რა სასიხარულოა?.. აი, მიზეზი ჭიათურაში ყოველივე მოძრაობის უცებ შეჩერებისა, მაგრამ მიზეზი ქვის ფასების ასეთი დაცემისა უფრო თავ-სამტკივი და სავალალოა. რომ ჰკითხოთ აქაურს მსხვილ მწარმოებლებს, აგიხსნიან —„ბირჟაზე ფასები არა აქვს მარგანეცსაო". რად, რისთვის?.. ეს-კი ბევრისთვის ბურუსში რჩება და განსაკუთრებით ჩვენსთანა უბრალო მომაკვდავებს (სახეში გვყავს წვრილი მწარმოებელი) არავითარი საბუთი არა გვაქვს არ დავუჯეროთ, რადგანაც ჩვენ ეს რაღაც საოცნებო, „ბირჟაა" არა გაგვეგება და არც ისეთები გვყავს ვინმე, რომ გაგვაგებინოს... მაშასადამე, ყველასათვის აშკარაა, რომ ასეთ პირობებში მთელი წვრილ მწარმოებელთა ბედ-იღბალი მსხვილ მწარმოებლების, ე. ი. ექსპორტიორების ხელში არის და, როგორც ამ უკანასკნელებს სურთ, ისე ათამაშებენ აქაურ წარმოებას თავიანთ სასარგებლოდ... წვრილ მწარმოებლებთ არავითარი დამოუკიდებლობა არა აქვთ, არ შეუძლიანთ თითონ დატვირთონ გემები და თითონვე მოუპოვონ ბაზარზედ თავიანთ ნაწარმოებს ფასები... მაშასადამე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამათს ბედ-იღბალს განაგებენ აქაური ექსპორტიორები, რომლებიც საზღვარ-გარეთ ჰყიდიან ქვას და პირდაპირი დამოკიდებულებაც აქვთ მსოფლიო ბირჟაზედ... რა შეუძლიანთ წვრილ მწარმოებლებთ?.. —არაფერი!.. ასე გასინჯეთ, ისიც-კი არ შეუძლიანთ, რომ რამოდენიმე ხნობით დაწყებული მუშაობა შეაჩეროს უმრავლესობამ, რადგან ზოგს მუშის ფული აქვს გასასტუმრებელი და, თუ დამზადებული ქვა არ ჩამოიტანა, ისე საშუალება არა აქვს გაისტუმროს, ზოგს კიდევ იჯარის ფული აქვს მისაცემი და ზოგს კიდევ იჯარის ვადა უთავდება და თუ ხსენებულს ვადაზედ არ გამოიტანა მაღაროებიდგან ქვა, ადგილის მეპატრონეს მიაქვს და რა ჰქნას, რომ არ იმუშაოს, როდესაც ხშირად ფული წინ-და-წინ აქვთ მეპატრონეთ წაღებული და ვადის გასვლის შემდეგ არც შეუძლიან ისარგებლოს; ამიტომ ბევრი იძულებულნი არიან ზარალით იმუშაონ, რომ ცოტათი მაინც „გაინაღდონ" წინ-და-წინ მიცემული ფული. ერთი სიტყვით, წვრილი მწარმოებლებისათვის გარდა ყოველის მხრივ დაბრკოლებისა არ სჩვევს არავითარი საშუალება, რამაც გამოიწვია უკიდურესი კრიზისი და გაჭირვება, ხოლო კრიზისმა და გაჭირვებამ, როგორც ყველგან მიღებულია ბუნებრივ კანონად—გამოფხიზლება და სწორეთ ამ გამოფხიზლების შედეგად უნდა ჩაითვალოს ის ამხანაგობა, რომელიც დაარსდა ამ ერთის წლის წინად აქაურ წვრილ მწარმოებელთა უმეტესობამ „შავი-ქვის" სათაურით, იმ აზრით, რომ შეერთებულის ძალით თითონვე მოეპოვებინათ მსოფლიო ბაზარზედ თავიანთ ნაწარმოებისთვის ღირსეული ფასი და აეშორებინათ თავიდან ექსპორტიორების დამოკიდებულების მძიმე უღელი... როგორც მკითხველი დაინახავს, დანიშნულება ამხანაგობისა მეტად სიმპატიურია და თანაგრძნობის გამომწვევიც...

ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით ამ ამხანაგობის პროექტების განხილვას, რადგანაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ყოველ-დღე გაისმის ამ საგნის ყოველისავე წვრილმანის შესახებაც-კი მაღალ-მაღალი აზრები და პრტყელ-პრტყელი ფრაზები; უეჭველია თავის დროზედ ყველა სიმართლე-სიმტყუნე გამოირკვევა. მხოლოდ მე ამას ვიტყვი ჩემის მხრივ, რომ ამ მეტად სიმპატიურმა და საიმედო დაწესებულებამ, ჭიათურის წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოწვეულმა, არა თუ ვერ მიაღწია თავის მიზანს, არამედ ოდნავაც ვერ გააუმჯობესა თავისი დაწყებული საქმე... უბრალო „კონკურენციასაც" ვერ უწევს აქაურს ექსპორტიორებს, არა თუ სულ გარეკოს (როგორც ეს მას აზრათა ჰქონდა).

რა არის მიზეზი? ამის თქმა არ შეგვიძლიან, რადგანაც ამ საქმის მოთავეები და ხალხის წარმომადგენელი პირები ეს ერთი წელიწადია ჩუმად მოქმედებენ. ამბობენ, ასეთ „ფარულს" მოქმედებას მოითხოვს გაჭრული ტაქტიკაო; მაგრამ ასეთი ტაქტიკის ნაყოფიც არსაიდგან სჩანს; ხალხი ეჭვის თვალით უყურებს ამ რაღაც ფარულ „ტაქტიკას", რადგანაც ამ საქმის თავის წინად უნდა მომზადებიყო საზოგადო კრება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს პატივცემული პირები ჯერაც არ აპირებენ წევრების მოწვევას, რომ საზოგადოებას მიეცეს შეძლება შეისწავლოს და გაიგოს მის მიერ დაარსებულ ორგანოს სამდვილი მდგომარეობა.

საჭიროა ამ დაფარულ „ტაქტიკას" ცოტა სინათლეც სდევდეს. თქვე დალოცვილებო, ვის უფარავთ ამ თქვენს გეგმას, მოყვარეს უნდა დაანახვოთ მტერს ხომ არა? მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ყველაზედ უფრო საჭიროა დღევანდელი შევიწროებული მდგომარეობა წვრილ მწარმოებლისა, რაც შეიძლება ჩქარა შეიცვალოს ქვის შიდების გაძლიერებით. რამდენადაც მწარმოებლები დღითი-დღე ზარალში არიან, იმდენად მათს დაწესებულებას უფრო თავისი მნიშვნელობა ეკარგება და, ვშიშობთ, ასეთის ზეიმით დაარსებული ქვეყნის „ასაშენებელი საშუალება" ერთს მშვენიერს დღეს არ გამოუდგეს უკან მისს წინაპრებს და არ გაგზავნოს თავის უმანკო სული აბრამის წიაღსა შიგა.

სიმართლე.

ფელეტონი

წერილი რაჭიდგან

(გზა და გზა)

ქუთაისიდგან ონამდე არის ას-რვა ვერსი. ამ გზის გაყოლება მოიკლაკნება ცქვიტი და მალხაზი რიონი, რომელსაც აჰყვება ესრედწოდებული ოსეთის სამხედრო გზატკეცილი. ქუთაისიდგან ყოველ დღე მიდის და მოდის რამდენიმე დილიჟანი და საფოსტო ეტლი. წასვლაც არ არის ძვირი, სულზედ სამიდგან ოთხ მანეთამდე იღებენ.

მთელი რიონის ხეობა, რომელიც რაჭის შუა გულზედ ჩამოდის, მშვენიერის, მწვანით მოსილ გორაკებით არის შემკული და მჭიდროდ მოფენილია ყავრით გადახურულ კოპწია სახლებით.

დილის 7 საათზედ გავედით ქუთაისიდან. ჩვენს დილიჟანს ოთხი სხვა დილიჟანი, ხალხით სავსე, უკან მოსდევდა. ყველა მგზავრები ქართველები ვიყავით. წინა დღეების ნიაღვრებისაგან გზები ძრიელ გაფუჭებული იყო, აქა-იქ მეწყერი ჩამოწოლილიყო და გზატკეცილიც წალეკილ-გადასილული და ჩახერგილი. ამის გამო დილიჟნები ძალიან ნელა მიდიოდნენ და ხშირად მგზავრებიც ქვეითობდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ბაასი მგზავრთა შორის, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რაჭის ზოგიერთ ადგილებს და, მეტადრე, ონს, ადრე თუ გვიან, დაღუპვა მოელისო, ისე ხშირად შემოეჩვია საშინელი მიწის ძვრაო.

— ეს ხუთიოდე წელიწადია, რაც მიწის ძვრა და საშინელი მეწყერი შემოგვეჩვია, — დაიწყო ერთმა ხანში შესულმა რაჭველმა გლეხმა; თუ ასე გაგრძელდა მიწის რყევა, რა გვეშველება! გადასასახლებელი გზა და ილაჯიც არ არის. მეწყერი მეწყერზედ ჰმეწყრავს და თან მიაქვს ტყე და მინდორი, ყანა, ბაღ-ვენახები, ეზოსამოსახლო და სახლები. ასე მჭიდროდ დასახლებულ რაჭაში ისედაც ძვირი იყო მიწა და ახლა ამ მეწყერის და უბედურობის შემდეგ ერთი-ორად გაძვირდა.

— რა ღირს ქცევა მიწა? დავეკითხე მე.

— მიწაც გახლავს და მიწაც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, საყანე მიწა ქცევას ას თუმან ნაკლებ მაინც ვერ იშოვნი და, თუ პატარა ნიშან-წყალი ატყვია, ორი ათას მანეთამდისაც ადის.

— რამდენი მოვა სიმინდი ქცევაზედ?

— თუ კარგი მოსავალი იქნა, ორმოც-დახუთი, ორმოც-და-ათი კოდი.

— რა ღირს რაჭაში კოდი სიმინდი?

— შვიდი აბაზიდგან ორ მანეთამდე.

— საშუალო რიცხვია, რამდენი უნდა მოვიდეს ქცევაზედ.

— საშუალო რიცხვით უნდა ვიანგარიშოთ ოც-და-ათი კოდი სიმინდი.

— საშუალო ფასი სიმინდისა?

— მანათ-ნახევარი.

— ფულს რა სარგებლით შოულობთ რაჭაში?

— ფულს, ბატონო, ძალიანაც რომ გასჭირდეს, აბაზ ნაკლებ მაინც ვერ იშოვნით.

— გვალვამ, კოხმა, მეწყერმა და ან ბუნების სხვა მოვლენამ რომ ისე გაგიფუჭოთ აზიარებული ყანის ჭირნახული, რომ აღარა მოვიდეს-რა, იმ შემთხვევაში მიწის პატრონს აძლევთ რასმე?

— აჰ! მაშინ ქვე, რაღას მისცემს, ორივე დაღუპული იქნება და ის არის, იმას მიწის სარგებელი ეკარგება და ამას მუშაობა.

— სანახევროდ ძლიერ კარგია მიწის პატრონისათვის მიწის გაცემა, მაგრამ შიგ დაბანდებულ თანხის სარგებელს მაინც ვერ აიღებს.

— აჰ! ქვე რავა გეკადრება, ბატონო!.. ფულის სარგებელს კარგი მოსავალი თუ ექნება, მაშინ ეგებ კიდე, ისე საშუალო. და ძდარე მოსავლის დროს? თქვენი თავი არ მამიკვდეს, მიწის პატრონმა ფულის სარგებელი ვერ აიღოს.

— ბატონო! აბა, ჩვენს ცხოვრებას ცხოვრება-კი არა ჰქვია, დაიწყო მეორე მეჭადარავებულმა გლეხმა, თქვენ არ მომიკვდეთ, რაჭამ თავის მიწა-წყლით ნახევარ წელიწადსაც ვერ გაიტანოს თავი, მაგრამ ჩვენა ვცხოვრობთ გარედგან შემოტანილით, ორი წილი რაჭის მცხოვრები სულ გარედ არის სხვა-და-სხვა კუთხეებისაკენ გადახვეწილი: ზოგი მეპურედ, მეზვრედ, მებაღე-მებოსტნედ, ზოგი მენახშირედ, მეკურტნე მუშად, მზარეულ-ფარეშად, ხურო-დურგლად, მხერხავად, ვაჭრად და ვინ ჩამოსთვლის რადა. ვინ იცის რა ხელობას არ მისდევს რაჭველი;—იქ ნაშოვნი ფული რომ არ მოგვდიოდეს რაჭველებს, შენი თავი არ მამიკვდეს, ჩვენი ცხოვრება არ იქნებოდა!

— როცა აგრე შევიწროებულად სცხოვრობთ, რატომ არ გადაესახლება სადმე ზოგი თქვენგანი, რას შეჯუჯგულხართ ასე მჭიდროდ და ერთმანერთს არ შორდებით? ვკითხე მე.

— ქვე, სად წავიდეთ და სად გადავესახლოთ, შენი ჭირიმე,—ჩამოერია მესამე,—ქვე, ვინ მოგვცემს აგრე ადვილად მიწა-წყალს?

— ჩვენს ქვეყანაშივე უნდა გადაესახლოთ, რასაკვირველია; აი შავის ზღვის პირად ბევრია ცარიელი ადგილები, ათასი გადამთიელი მოდის და მკვიდრ საფუძველს იკიდებს ჩვენს ქვეყანაში და თქვენზედ უპრიანი არ არის თქვენის სამშობლოს მიწა-წყალი? ნიადაგსაც უკედ იცნობთ, იცით სად რა მოვა, ჰავასაც სხვებზედ უკედ შეიფერებთ და დამუშავებითაც უკედ დაიმუშავებთ.

— დამუშავებით, იცოცხლეთ და მეც ვიცოცხლო, მომიჭრა სიტყვა ერთმა, როგორც ჩვენმა კაცმა უცხო მოსულ ხალხზედ ბევრად კარგად დაიმუშაოს და არც ჰავას შეუშინდეს თუ-კი რომ საშუალება იქნება.

— ბორჩალოს მაზრაშიაც არის სახელმწიფო და კერძო კაცების ადგილები, მოიპოვება კახეთშიაც, სადაც ან მუქთად იშოვნით სახელმწიფო უწყებისაგან ან ძლიერ პირიან ფასშ იყიდით კერძო კაცებისაგან და, შეიძლება, იმ პირობითაც, რომ მამულის ფასი გაავადიანოთ და ნაწილ-ნაწილათ ჩააბაროთ.

— ეგ ყველა ძლიერ კარგია ჩვენთვის და ფრიად სასარგებლოც. მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, ჩვენს გლეხ-კაცობას მოჩიჩინე და შემგონებელი უნდა და ვინა გვყავს? და მეორე, მიწა-ადგილის მომძებნი თავი კაცები და წინამძღოლები ძალიან ძვირია ჩვენში.

მიუახლოვდით სოფ. წესს. აქ ცის სივრცეში ამართულს მიუდგომელს კლდეს სულ რაღაც ხუთიოდე ადლის სივიწროვეში ჩაუგდია გიჟმაჟი რიონი. სწორედ ამ ვიწროებში იყრება სამი გზა, ტყიბულ-ამბროლაურის, ონის და ქუთაისის გზატკეცილი; ქუთაის-ონის გზატკეცილიდგან საამბროლაურო ტყიბულის გზატკეცილისკენ საეტლო ხიდია გადებული.

ამ ვიწროებში რიონს გაღმა-გამოღმა მაღალ კლდის უბეებში აშენებულია ორი ციხე; ამ ადგილს ჰქვიან „ხიდის კარი" და მართლაც რომ კარებია ზემო რაჭისა.

აქედგან მივედით ისტორიულს სოფ. ბარაკონში, სადაც ერთ დროს გალაღებული რაჭის როსტომ ერისთავი სჭექდა და ჰქუხდა. სოფელს დღესაც ამაყად დასჩერებია საშინელს მაღალს მთა-კლდეს ნაპრალზედ გადმოდგმული და თითქმის ყოველ მხრივ მიუდგომელი ციხე-დარბაზი როსტომ ერისთავისა. ერთი შეხედვა კმარა ამ შესანიშნავ სიმაგრისა, რომ იგრძნოს კაცმა მფლობელის დიდი შემძლებლობა. კარგად შენახულს ციხეს დიდი ხანი არ არის, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ ჩამოჰქცევია კედლის ერთი გვერდი. ძირს რიონის პირად მშვენიერს, ხეხილით მორთულს და ამწვანებულს ვაკეზედ აგებულია როსტომ ერისთავისაგანვე მშვენიერი ტაძარი, სწორედ იმ გეგმაზედ, როგორც გელათია და ნიკორ წმინდა, ხოლო იმათზედ მორჩილია. გარედგან კარები, ფანჯრები და ზოგი სხვა ადგილებიც მშვენიერის ჩუქურთმით არის შემკული, შიგნიდგანაც მშვენიერი მხატვრობაა თურმე. ჩვენ ვერა ვნახეთ ეს ტაძარი, რადგანაც დაკეტილი იყო და გასაღები მღვდელს წაეღო სოფლად.

კავკასია

მეთვალყურის შენიშვნები

(წერილი კავკავიდგან)

წიგნებით ვაჭრობის საქმე.—ხელოსანთა ურთიერთ-შორისი დამხმარებელი ამხანაგობა.—საკვირაო-სკოლა მოზრდილთათვის.—სახალხო სეირნობა და თეატრი.

სადაც რომელიმე ერი ანუ მისი ნაწილი სცხოვრობს საზოგადოებრივის ცხოვრებით, იქ უსათუოდ საზოგადო კითხვებიც ბლომად მოიპოვება. ამ საზოგადო საკითხების გონივრულად განმარტვას და საზოგადო საქმის რიგიანად წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრების წინსვლაში. მაგრამ, მაგარი ის გახლავსთ, რომ ჩვენდა საუბედუროდ ბევრი საზოგადო საქმეები სრულიად არ გვეხერხება; თავდაპირველად ბევრს ვყვირით, იმდენად არ გულშემატკივრობით, რამდენადაც მისთვის, რომ რომელიმე საქმის მეთაურობა ვიკისროთ და იმას-კი არ დავეძებთ, შევწევს ნიჭი და უნარი საზოგადო საქმის მართვისა თუ არა.

დიდი ხანია, მკითხველო, თავისს სამშობლოში უმიწა-წყლობის გამო შევიწროებული ქართველობა თავს ანებებს თავისს სალოცავს სამშობლო ქვეყანას, სადაც შობილა-გაზრდილა და ილტვის უფრო ჩრდილო კავკასიისაკენ და ეძებს უკეთეს ბედს საცხოვრებლად. ამისთანა მოვლენა უფრო გახშირდა ამ უკანასკნელს წლებში, გადმოსახლებულთა უმეტესი ნაწილი ესახლება კავკავში და მის ახლომახლო არემარეში.

დიდი ხანია „ივერიის“ მკითხველებს აქაურ ქართველთა საზოგადო ცხოვრების შესახებ გაზეთებში არა წაუკითხავთ-რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შარშანდელს წერილებს კავკავიდგან. აქაურ სკოლის შესახებ, თუ აქაურ ქართველთა ცხოვრების შესახებ მხოლოდ მცირე რამ იბეჭდება ხანდისხან გაზეთებში. ამაში ცოტათი დამნაშავე ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეც არის, ის მეთვალყურე, რომელიც ბატების სისინს უფრო ერიდებოდა, ვიდრე იმას, რომ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდებისო. ჩვენ მაინც ვბედავთ და ვაპირებთ დრო გამოშვებით წერილების ბეჭდვას აქაურის საზოგადო ცხოვრების შესახებ და თუ ამით პირადათ ზოგიერთებს ვერ ვასიამოვნებთ არც ვისმეს პირადი სიამოვნება მიმაჩნია ჩემთვის სავალდებულო საქმედ და ვინც ძრახვას ითაკილებს, ნურასა იქს საძრახავსა.

ამ რამდენიმე წლის წინად კავკავში დაარსდა ქართველ ახალგაზდა ნოქართა პატარა წრე, რომლის წევრები ოც და ათს აღემატებოდა. ესენი ყოველ თვიურად აგროვებდნენ საწევრო ფულს და აბარებდენ ამ საქმის ინიციატორს. როდესაც ამნაირად მცირეოდენი თანხა შეგროვდა, დააპირეს რაღაც საზოგადო საქმის გამოწყობა და წარმართვა, მაგრამ რა საქმე გამოეწყოთ ისეთი, რომ მართლა სასარგებლო ყოფილიყო ადგილობრივ ქართველ მკვიდრთათვის, ამის შესახებ ვერაფერ საზოგადო გზაზე ვერ დამდგარიყვნენ. მაშინ ერთმა ჩემმა მეგობარმა ურჩია იმათ ამხანაგურის წესით შეგროვილის ფულებით დაეარსებინათ კავკავში ქართული წიგნებით და დრო-გამოშვებით გამოცემებით ვაჭრობა. ამ ადამიანურის გრძნობის განსამტკიცებლად საჭირო მათში ქართული წიგნების გავრცელება, რომლის მოთხოვნილება ხალხში უკვე შენიშნულია. დაკმაყოფილება შეძლებისა დაგვარად ეროვნულის თვით-ცნობიერებისა ქართული წიგნების საშუალებით უნდა შეადგენდეს თქვენს საუკეთესო მიზანსაო. ამ აზრს ყველა დაეთანხმა და კიდეც შეუდგნენ მისს განხორციელებას, გარდასცეს ფულები საქმის მოთავეს, რომელმაც უკვე აიღო ნებართვა წიგნებით ვაჭრობისა და თავის მაღაზიაში გამართა წიგნებით ვაჭრობაც, დაიბარა ნაცნობების შემწეობით წიგნები გამომცემლებისაგან საკომისიოთ გასასყიდად და შეუდგა საქმეს, მაგრამ ბოლო ამ საქმისა ისეთი გახლავს, რომ ეს ორი წლიწადია ხსენებულს მოთავეს ერთი წიგნიც არ მოეპოვება თავის მაღაზიაში გასასყიდად და ამ საქმემაც ჩაილულის წყალი დალია. ბოროტი ენები ამბობენ, რომ საკომისიოთ წიგნებს არავინ უგზავნის, რადგანაც გამომგზავნილისთვისაც არ დაუკმაყოფილებიათ გამომცემლებიო. ასეა თუ ისე, როგორც ვხედავთ, ეს საერთო საამხანაგო საქმე ცუდს ნიადაგზე შეიქმნა ღმოცენებული და ამიტომ ვერც სასურველი ნაყოფი გამოიღო და სულიც მალე განუტევა. ჩვენ უფრო, სხვათა შორის, ის გარემოება გვაკვირვებს, რომ არც ერთი ამხანაგობის წევრი ხმას არ იღებს, არ ითხოვს არც ანგარიშს და არც იკვლევს მიზეზს წიგნებით ვაჭრობის მოსპობისას და ყველა გულ-გრილად შესცქერის და არ ფიქრობენ მკვდარი საქმე გააცოცხლონ ხელ-ახლად და უკეთეს ნიადაგზედ დაამყარონ ეს სასარგებლო და საჭირო საქმე კავკავში. ეს უფრო იმის ბრალია, რომ ყველა ერიდება პირად წყენინებას და იმას-კი არ ფიქრობენ, რომ ამ აზრით საზოგადო საქმეში ხელმძღვანელობა არაფერს ხეირს დააყრის არც ერთს საზოგადო საქმეს. დღეს უბრალო წიგნიც რომ დასჭირდეს ვისმე, ტფილისიდგან უნდა დაიბაროს კერძოთ და თუ რა ძნელია კერძო კაცისათვის ამნაირად წიგნების მეძებნა ეს ყველასათვის ცხადია და ამის გამო ეს ბუნებრივი სურვილი ქართული წიგნების შეძენისა დღეს ბევრს აქეთ სურვილადვე რჩება.

ქართულ წიგნებით ვაჭრობაზე უკეთესად არც აქაური ქართველ ხელოსანთა ურთიერთ-შორისი დამხმარებელი საზოგადოების საქმე მიდის. ეს საზოგადოება დაარსდა კავკავში სამი წლის წინად; შეიმუშავეს წესდება და შეუდგნენ ფაქტიურად საქმის წარმოებას, მაგრამ ამ საქმეშიაც თავი იჩინა ჩვენებურმა თავდა პირველად ხალისიანობამ და შემდეგ ერთბაშად გულ-გრილობამ. ხელოსნები მიზეზს იმაში პოულობენ, რომ აღგვითქვეს ვიშუამდგომლებთ მთავრობასთან და შემუშავებულს წესდებას დავამტკიცებინებთო, ეს დაპირება დაპირებადვე რჩება და ასრულება-კი აღარ ეღირსაო. ეს ასეც რომ იყოს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, თუ ყოველი წევრი საზოგადოებისა არ იქნება გამსჭვალული საზოგადო ინტერესით, არ ექნება ცხადათ წარმოდგენილი შემუშავებული წესდების ყველა მუხლების მნიშვნელობა და აზრი და არ ეცდება თავისს მხრივ შემუშავებულ წესდების მოთხოვნილების შესრულებას, ვერავითარი საზოგადო საქმე ვერ იხეირებს და ყველა ამნაირ საქმეს შედეგად მოჰყვება ზნეობრივი სწავლა ცნობილის „გედის, თევზისა და კიბოს იგავ-არაკისა“. დღეს ასე უძრავად და უმნიშვნელოდ არის მიყრუებული აქაურ ქართველ ხელოსანთა მიერ წამოყენებული საერთო სქმე და თუ რა ბოლო მოელის ამ ამხანაგობასაც, ამასაც ახლო მომავალი დაგვანახვებს.

უკეთესს გამჭრიახობას და სარისტიანობას ზოგიერთს საზოგადო საქმეში ვერც აქაური ესრედ წოდებული ქართველი ინტელიგენცია იჩენს, ის ინტელიგენცია, რომელიც ქვეყნის მარილის სახელით არის საზოგადოდ მონათლული. რომ აქაური ინტელიგენცია ვერ ასრულებს შესაფერისად თავისს დანიშნულებას ერის წინაშე, ამის მაგალითს წარმოგვიდგენს აქაური მოზრდილ ვაჟებისათვის საკვირაო სკოლა, რომელიც დაარსებული იქმნა კავკავის სკოლასთან ამ შვიდი წლის წინად. საამოვნებით ვიგონებთ პირველ წლებს, როდესაც 60—70 წვერ-ულვაშიანი ყმაწვილები დადიოდნენ საკვირაო სკოლაში და გულ-დასმით ისმენდნენ მასწავლებელთაგან ამა თუ იმ სასარგებლო დარგს სწავლისას. ისინი დიდის ხალისით ეტანებოდნენ სწავლას, რომლისთვისაც არ ზოგავდენ თავისუფალს დროს, ოღონდ რამე სასარგებლო, ცხოვრებაში აგრე მოსაყენებელი, ცოდნა შეეძინათ. კვირაუქმე დღეებში თავისუფლად ხეტიალს და ან თავისუფალ დროს ცუდათ მოხმარებას, რაც ხშირად შეინიშნება ქალაქში მცხოვრების ახალგაზდობის ცხოვრებაში, არჩევდნენ სკოლაში სიარულს და ვინ იცის რამდენ მათგანს სკოლაში გაგონილი სწავლა-მეცნიერება აყენებდა ნამდვილს ჭეშმარიტსა და კეთილშობილურს გზაზე. ბოლო ხანებში მოწაფეთა რიცხვმა საკვირაო სკოლაში იმდენად იკლო, რომ ხშირად მასწავლებელთა რიცხვი აღემატებოდა მოწაფეთა რიცხვს და სულ ბოლო წლებში-კი საკვირაო სკოლამ მთლად თქვენი ჭირი წაიღო და განუტევა ტანჯული სული წიაღსა შინა უთავობისასა. მიზეზი უკანასკნელ წელში საკვირაო სკოლის უმოქმედობისა ყველა მასწავლებელს ცხადათ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ ჯერ არავის მიუღია ისეთი ღონისძიება, რომ საკვირაო სკოლა, ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება დაყენებული ყოფილიყოს სასურველს ნიადაგზე და წარმართულიყოს ერთობილის ძალით მოწაფეთა სასარგებლოთ. ის საშუალება, რომ ზოგი მასწავლებელი განმსჭვალული საქმის სიყვარულით, თავის ბინაზე სახლში იბარებდა საკვირაო სკოლის მოწაფეებს და იქ ასწავლიდა, უფრო მავნებელია საერთო საქმის კეთილნაყოფიერებისათვის, ვიდრე მოქმედება შეთანხმებით საერთო საქმეში. ჩვენ აქ არ შევუდგებით საკვირაო სკოლის ნაკლის აღნუსხვას. ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დავუბრუნდეთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ სასწავლო წელი უკვე დაიწყო და აპირებენ საკვირაო სკოლის ხელახლად გამოცოცხლებას თუ არა, ჯერ არა ისმის-რა, თუმცაღა სწავლის მსურველი ყოველთვის ბლომად მოიპოვება, თუ-კი საქმე წესიერად იქნება დამყარებული და წაყვანილი. როგორც გვესმის და ამის შესახებ წინადაც იყო ატეხილი ბაასი, აპირებენ საკვირაო სკოლის დაარსებას ქალებისთვისაც. რასაკვირველია ესეც ფრიად სიმპატიური განძრახვაა, რომელსაც ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდება, მხოლოდ ჩვენ, როგორც ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეს, გვაშინებს წარსულის მაგალითი, რომ საქალებო სკოლასაც არ ეწიოს ის ბედი, რაც სავაჟო სკოლას ხვდა წილად ამ უკანასკნელ წლებში.

ერთად-ერთი საერთო ნიადაგი, სადაც ერთად მუშაობა უხდება აქაურს მდაბიო ხალხსა და ინტელიგენციას, არის საზოგადო ზრუნვა აქაურის სკოლის ნივთიერის მხარის შესახებ. კავკავის ქართული სასწავლებელი, რომელიც დაარსებული იქმნა 1888 წელს განსვენებულის მ. ზ. ყიფიანის თაოსნობით, საზრდოობს მხოლოდ კერძო შემოწირულების, სახალხო სეირნობის, წარმოდგენებისა და სადამოების მეოხებით. ამ საზოგადო საქმის ზრუნვაში, როგორც არა ერთხელ მოგვიხსენებია გაზეთებშიაც, ყველა შესამჩნევად ზრუნავს განურჩევლად. ამ ჟამად, როგორც ამბობენ, სკოლის ნივთიერი მხარე ვერ წარმოადგენს სასურველს მდგომარეობას. ამისთვის შეუდგნენ სახალხო სეირნობის გამართვას, რომელიც უნდა გამართულიყო აქ საქალაქო ბაღში 8 ენკენისთვეს. ყველაფერი მომზადებული იყო და საქმეც კარგად იჩარხებოდა, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და მკაცრმა ბუნებამ ხელი შეგვიშალა: წინა დღესვე დაიწყო უშველებელი წვიმები და დღესაც არ გადაუღია. ამასთან შესამჩნევად აცივდა კიდეც და მოგვესპო იმედი სახალხო სეირნობის გამართვისა ამ შემოდგომაზე. ამის შემდეგ გვეგონა სკოლის სამზრუნველოს დარჩა ერთად-ერთი საშუალება გამართოს ქართული წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ ამ შემოდგომაზედვე.

სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ კავკავში ქართული წარმოდგენა ადგილობრივის სცენის მოყვარულთაგან იშვიათად იმართება, ისიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ. ამის მიზეზი სხვათა შორის, ისიც არის, რომ აქ არ არსებობს შეკავშირებული წრე სცენის მოყვარულთა. ამისთანა წრეს ადვილად შეეძლო წელიწადში რამდენიმე წარმოდგენა გაემართა, რადგანაც როლის განაწილებაც და სხვა საჭირო თავდარიგიც ყოველთვის თავისუფალ დროზე შეეძლებოდათ. ამ საგნის შესახებაც ბევრჯელ ყოფილა აღძრული ლაპარაკი, მაგრამ

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი მზღვარი“.

კახაბერი.

სამხრეთის მხრივ, გარედგან, კარის შუბლის ქვაზედ წარწერა აქვს სიგანით ერთი ადლის სივრცეზედ 9 სტრიქონად, რომელიც ვერ ამოვიკითხე, გავარჩიე მხოლოდ შემდეგი სიტყვები:.. საყდარისა ამას ამშენებელი ერისთავი როსტომ, აბრამის წიაღსა განსვენებულ ჰყავ...

აღმოსავლეთის მხრივ აქვს წარწერა: „ამისი ოსტატია შულავერელი ავთანდილი, ვინც ნახოთ, შენდობა ბრძანეთ“; სხვა წარწერა გარედგან შევამჩნიე. ზოგან გარშემო სარტყლის ქვები დაზიანებული აქვს, ეტყობა, ზედ წვიმა დასდის, და თუ ამ მდგომარეობაში დარჩა, კითხვა არ უნდა, დაზარალდება. საჭიროა დიდი ყურადღება, რომ ეს ძვირფასი ძეგლი დაცულ იქმნას, ამოდენა ხანს შენახული დიდებული ტაძარი, რომლის გარეგნობაც-კი სასოებას გვგვრის, ჩვენის გულგრილობით არ განადგურდეს.

აქედგან მივედით ონს. დაბა ონი გაშენებულია რიონის პირად, ვაკე ადგილზედ. გარშემო ამწვანებული მთა-გორები აკრავს, ხოლო თავს დასცქერის, ამ ჟამად უკვე მცირედ შეთოვლილი, ქედ მოღერებული შოლას მთა, რომელსაც თითქოს ცაში მიუჭერია თავიო. შოლას მნახველს ქართველს უთუოდ მოაგონდება მგოსნის სიტყვები:

მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუა გადაჭიმული.
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.
მის დიდროვანი, მაღალი მთები
შეხე, თითქო ცას ებჯინებიან
და იქიდგანა ტურფა ქვეყანას
სიამაყით თავს დასცქერიან.

ონში არის მოთავსებული სოფლის სამმართველო, მაზრის სამმართველო, საბოქაულო, მომრიგებელი სამსაჯულო, ნოტარიუსი, ფოსტა-ტელეგრაფი, მაზრის ექიმი, აფთიაქი, უფასო სამკითხველო და სხვა. აქვს სასწორი, დუქან-ბაზარი, ბაზრობაც კვირეში ორჯერ იცის—კვირაობით და პარასკეობით; ბაზარში შემოაქვსთ ხე-ტყე (მომეტებული ნაწილი „კვაის“ საერთო მთიდგან), შალეულობა, ერბო-კარაქი, ხილი და სხვა სანოვაგე. ერთი სიტყვით, ონს ყველაფერი აქვს, გარდა გონების ასამაღლებელ და განსავითარებელ სასწავლებლისა... დიახ! ონს არა აქვს არავითარი სასწავლებელ, თუ სახეში არ მივიღებთ ერთად ერთს ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებელს, რომელსაც აქ ანორმალურს სასწავლებელს უწოდებენ, როგორც არაჩვენს ნიადაგზედ აღმოცენებულს და ჩვენის ცხოვრებისათვის სრულიად შეუფერებელს.—ამისათვის თანამგრძნობელი ცოტა ჰყავს და მომდურავი-კი ბევრი.

იმ დროს მომიხდა ონში მისვლა, როცა მცხოვრებნი ძლიერ შეშფოთებულ იყვნენ მიწის ძვრისაგან: წინა დღეს, 6-ს მარიამობისთვეს 14-ჯერ ყოფილა მიწის-ძვრა, სამჯერ-კი უფრო ხანგრძლივ და ძრიელ და ესეც მაშინ, როცა ონი დილის ძილში ყოფილა (მიწის ძვრა დილის 6-ზედ დაწყებულა). მიწის ძრიელი ძვრისაგან შეშინებული მცხოვრებლები მთლად ქუჩაში გამოცვივნულან, ზოგი ფეხშიშველი და ზოგიც ისე, როგორც ლოგინში განისვენებდა. ერთი სიტყვით, ონი შიშსა და ძრწოლაში იყო ჩავარდნილი, დიდიდგან პატარამდის ყველანი მხოლოდ ამ საგანზედ ლაპარაკობდნენ, ზოგი წარსულზედ უბნობდა და მომეტებული ნაწილი-კი ონის მომავალზედ წინასწარმეტყველებდა.

— ონი ნამდვილად ჩაინგრევა და დაიღუპება, შენ ნუ მომიკვდები.

—ვაი მოგესპოს იმედი და დაგესო მაგ ენაზედ ეკალი, კაი მახარობელი შენ არ იყო.

— იმე! ბატონო, ერთხელ თურმე მეფეს მოახსენეს: „წელისი“ (ჭედისი) დაიწვაო.

— „იმე, რაც იმას ბერვა ქონდა, ან აქამდის რავა გასძლოვო“, ბრძანა თურმე მეფემ. მისი არ იყოს, რაც ამ ჩვენ ონს ძირიდგან ძაძგა-ძუძგი აქვს გამუდმებულ მიწის ძვრისაგან, რა გასაკვირველი იქნება, შენი ჭირიმე, რომ ერთს მშვენიერს დღეს ჩვენი კარგი მიდამოთი და სახლკარიანა მთელმა ონმა იშხვარივით ჩაყვინთოს და ტყლაპა გაიდინოს ცოცხლად საიქიოს.

სულ ამ გვარი გაცხარებული ლაპარაკი ისმოდა ონის ქუჩებზედ.

ჩვენი ქვეყნის გულშემატკივართ ონის განათლებულ ნაწილს აზრად აქვს დააარსონ ონში ხუთ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ვისურვებ, ეს მათი აზრი განხორციელებულიყოს, რომ მთელ რაჭის მოზარდ თაობისათვის ერთი სასწავლებლის დაარსება მაინც მოეხერხებინოსთ.

სოსიკო მერკვილაძე.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიელ ნაციონალისტთა დასის მეთაურმა ო'ბრიენმა კლერმორისში ისეთი სიტყვა წარმოსთქვა ირლანდიელთა უბედურ მდგომარეობის შესახებ, რომ აღელვა და აღაშფოთა მთელი დამსწრე საზოგადოება. ორატორმა სთქვა: „დადგა დრო ირლანდიის შეერთებულ ლიგის პრინციპთა პრაქტიკულად განხორციელებისა და ლენდლორდთა მდგომარეობის უკიდურესობამდე შევიწროვებისა ბოიკოტითა და ოსტრაკიზმითაო.

საფრანგეთი. ნანტის სამხედრო სასამართლოს წევრთ, რომელთაც მაიორი დლეუ დადიეური გაასამართლეს, თხოვნით მიჰმართეს რესპუბლიკის პრეზიდენტს, აპატიეთ დამნაშავეს სასჯელიო. თვით დადიეურს არ განუსაჩივრებია სასამართლოს განაჩენი. ფრანგული გაზეთობა უმეტეს ნაწილად თანაგრძნობით ლაპარაკობს ამ მაიორის შესახებ და არ მოსწონს განაჩენი. რესპუბლიკელი გაზეთობა მოწონებით იხსენიებს სამხედრო სასამართლოს მედგრობას, მაგრამ ამასთანავე შენიშნავს, რომ ამგვარისავე საქმისათვის პოლკოვნიკს სენ-რემის ბევრად უფრო მცირე სასჯელი გადაუწყვიტეს და რათ მოხდა ასეთი განსხვავებაო. ზოგიერთი გაზეთი დაცინვით კითხულობს, ეს ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ სამხედრო სასამართლოებს ერთსა და იმავ დანაშაულისათვის სხვა-და-სხვა სასჯელი ჰქონიათ.

— გენერალი ფრტერი, რომელიც ყოველის ღონისძიებით იცავდა პოლკოვნიკს სენ-რემისა და უნდოდა როგორმე გაემართლებია იგი, თურმე სრულიად დაუთხოვნიათ სამსახურიდგან ამ საქმის გამო.

გერმანია. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბერლინში ბავარიის კლერიკალთა ბელადის, დოქტორ შედლერის სიტყვამ. ეს ის შედლერი გახლავთ, რომლის მეოხებითაც ბავარიის პალატამ ამოშალა ბიუჯეტიდგან 100,000 მარკა, მიუზეუმებისათვის გადადებული, მხოლოდ იმიტომ, რომ, როდესაც საერო განათლების მინისტრსა და ვიურცბურგის უნივერსიტეტს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, პრინცმა-რეგენტმა და სამინისტრომ უნივერსიტეტის მხარე დაიჭირეს. მკითხველებს, უეჭველია, ახსოვსთ, რომ იმპერატორ ვილჰელმ მე-II-მ საზღვაო აღლუმებიდგან დაბრუნების შემდეგ დეპეშა მისწერა ბავარიის რეგენტსა და დიდი გულის-წყრომა განაცხადა პალატის კლერიკალთა უმრავლესობის საქციელის შესახებ. დოქტორი შედლერი იმპერატორის საპასუხოდ იმას ამბობს, რომ გერმანიის კონსტიტუციით პრუსიის მეფე იმპერატორის სახელს ატარებს, სარგებლობს სხვა-და-სხვა უფლებით, რომელიც ეხება უცხოეთთან დამოკიდებულებას, მხედრობასა და საერთო საიმპერიო კანონმდებლობას, მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით კანონს, იგი „არაა მონარქი გერმანიისა და ბავარიის მეფეც მხოლოდ მოკავშირე მმართველია და არა მისი ვასსალიო. რაიცა შეეხება ბავარიის პალატის მოქმედების კრიტიკას,—მიუხედავად იმისა, საფუძვლიანი იქნება იგი, თუ არა—ეს ბავარიის შინაურ საქმეებში ჩარევას მოასწავებს; ვილჰელმ მე-II-კი სრულებით კერძო პირია ბავარიისათვის, თუმცა მართალია, დიდის წოდებისაა, მაგრამ მით უმეტეს მოვალე, რომ „მეტის სიფრთხილით და წინდახედულობით ასწონ-დასწონოს ყოველი თავისი სიტყვა და საქციელი. ისეთი სიტყვები, როგორც „საზიზღარი უმადურობა“ და „აღმაშფოთებელი საქციელი პალატისა“ სრულიადაც ვერ შეარყევს ჩვენის დასის გავლენას პალატაში. მის თავზედ ბევრად უფრო ძლიერს გრიგალს და ქარიშხალს გადაუვლია, მაგრამ „ისე ვერა დააკლო-რა მათმა ონავრობამ, როგორც ვერა შეჰმატა-რა უმაღლესად მოვლენილ მოწყალებათა სხივოსნობამ. რეიხსრატსა და ბავარიის პალატაში, ბერლინსა და მიუნხენში—ასე ათავებს თავის სიტყვას კლერიკალთა ბელადი—ჩვენ შესაფერისს პასუხს გავცემთ ზემოხსენებულს დეპეშას, ჯერ-ჯერობით-კი აქ, ჩვენს ამომრჩეველთა წინაშე, რადგან კარგადა მაქვს შეგნებული ღირსება და პატივი საკუთარის უფლებისა, მე გადაჭრით უარ-ვყოფ, რომ მოკავშირეთა საბჭოს პრეზიდენტს—პრუსიის მეფეს—გერმანიის იმპერატორად წოდებულს, ნება მიეცეს ჩარიოს იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში, რომელიც მხოლოდ მოკავშირეა მისი და არა ქვეშევრდომი. მე დავალებული მაქვს ყველა ამხანაგებისაგან სწორეთ ასეთის განცხადებით მივმართო მთელს საზოგადოებას ჩვენის დასის სახელითაო.

„ივერიის“ ფოსტა:

ახალ ქალაქს. ნ. ო—ს: თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. მეტად კერძო ხასიათი აქვს.

ხარკოვს. მიშას: თქვენი ლექსი „განსვენებულს საშას უმანკო სულს“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 სეკდემბერი

ჰელსინგფორსი. მიწათ-მოქმედების მთავარმა გამგეობამ გამოაქვეყნა, რომ მოუსავლობის გამო ულეაბორგის გუბერნიაში ფქვილის ფასმა აიწია—100 კილოზე 30 მარკამდე, ე. ი. ფუთი 1 მ. 87 კაპეიკამდე ადისო.

სევასტოპოლი. გუშინ ჯავშნიან გემს „როსტისლავზე“ ასვლის დროს მათ უდიდებულესობასა და დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს გემის უავგუსტოესი უფროსი რაპორტით მიეგება. დედოფალ იმპერატრიცას განმარტებას აძლევდა უავგუსტოესი უფროსი, ხოლო ხელმწიფე იმპერატორს უფროსი აფიცერი თავადი პუტიატინი. აქვე იყო დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული. ხელმწიფემ დაწვრილებით დაათვალიერა სამანქანო, რომლის ქვაბებსაც ნავთით ახურებენ. ოფიცერთა სადგომში ხელმწიფე აფიცერებს ესტუმრა და თავისი სახელი წიგნში ჩასწერა. უავგუსტოესმა სტუმრებმა გემის უფროსის სადგომში მეოთხედი საათი დაჰყვეს.

სევასტოპოლი. ბოლგარიიდგან დაბრუნდა გემი „პეტერბურგი“. გემზე სამხედრო დროშაა აფრიალებული. ამ გემით მოვიდნენ სამხედრო მინისტრი კუროპატკინი და გენერალი დრაგომიროვი.

სევასტოპოლი. დილიდგანვე ხალხით გაივსო ის გორაკები, რომელიც ნავთ-სადგურს არტყია. მოწვეულნი საადმირალოში მიდიოდნენ, სადაც იდგა პირველის ხარისხის ახალი კრეისერი „ოჩაკოვი“. 11 საათზე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი „შტანდარტიდან“ საიმპერატორო ბარჟით წაბძანდნენ. გაისმა „ურა“-ს ძახილი, რომელსაც ნაპირიდგან ხალხმა ბანი მისცა. სამგალითო სურათი იყო. საიმპერატორო ბარჟა მიუახლოვდა საადმირალოს, სადაც საიმპერატორო პავილიონი გამართული. მათ უდიდებულესობათ ახლდნენ დიდი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული. პავილიონში შესვლისა და რაპორტის მიღების შემდეგ, მათ უდიდებულესობათ ჩაიარეს საპატიო დარაჯს და კრეისერ „ოჩაკოვი“-საკენ წავიდნენ. თან ახლდნენ ამალის წევრნი. საზღვაო სამინისტროს გამგე, ჯარის უფროსი, სამხედრო მინისტრი კუროპატკინი და გენერალი დრაგომიროვი. აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მათი უდიდებულესობანი „ოჩაკოვ“-ზე ავიდნენ, სადაც მიიღეს რაპორტი გემის უფროსის იურკოვსკისაგან; შემდეგ ჩაიარეს ოფიცერთა საპატიო დარაჯს და მიიღეს დეპუტაცია ქალაქისა და ოჩაკოვის ციხისაგან. როდესაც ხელ-

ახლა პავილიონში შევიდნენ, მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, გემი ჩაეშოთ. სამის წამის შემდეგ გემი ნელ-ნელა დაეშვა. ჩაშვების დროს აფრიალდა მისის უდიდებულესობის შტანდარტი, უავგუსტოესის გენერალ-ადმირალის ვიმპელ-გიუისი, სამხედრო და საადმირალო დროშები. კრეისერის ზღვაოსანთ „ურა“ დაიძახეს, რასაც სხვებმაც მისცეს ბანი. მუსიკამ ჰიმნი შეასრულა. მისმა უდიდებულესობამ ინახულა ბოლგარიიდგან მოსული დეპუტაცია იმ აფიცერთა და ჯარისკაცთა, რომლებმაც ბოლგარიის განთავისუფლებაში მონაწილეობა მიიღეს. 11 საათსა და 50 წუთზე მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ „შტანდარტ“-ზე, სადაც გაიმართა საუზმე. მიწვეულ იქმნენ უმაღლესი მოხელენი.

ბერლინი. იმპერიის ბანკმა ასწია დისკონტი 4%-მდე.

პეკინი. გუშინ ქვრივმა იმპერატრიცამ ელჩების მეუღლენი საუზმეზე მიიწვია.

სოფია. სულთანი და დიდი მთავარი გულწრფელად მიეგებნენ ერთმანეთს. დიდმა მთავარმა გადასცა სალამი ხელმწიფე იმპერატორისა. დიდის მთავრის სულთანთან ყოფნა ამტკიცებს, რომ შიპკის დღესასწაულებს პოლიტიკურ დემონსტრაციის ხასიათი არა ჰქონდათ.

პარიჟი. ნაციონალისტმა გრაფმა კასტელანმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ზიზღს აცხადებს იმის გამო, რომ ზოლას სახლში პერენმა დემონსტრატიულად დრეიფუსს ხელი ჩამოართვა.

ვენა. „ფრემდენბლატ“-ში შიპკის დღესასწაულების შესახებ შენიშნავს: დიდის მთავრის მიერ სულთანთან მისვლა ჰმოწმობს, რომ საიმპერატორო გვარეულობის წევრი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შფოთის გამოსაწვევად არ იქმნა გაგზავნილიო. რუსეთი მხნედ ჰკიცხავს იმათ, ვინც ბალკანეთში მშვიდობიანობის დარღვევასა სცდილობს. ხასიათი დღესასწაულისა ჰმოწმობს, რომ რუსეთს არა ჰსურს გადუხვიოს წინანდელ თავის პოლიტიკას და ხელი შეუწყოს ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებასაო.

კონსტანტინეპოლი. დიდ მთავართან ყოფნა ებრძანა აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფს თურხან-ფაშას. ჯავშნიან გემის ზღვაოსანთ სასახლის უწყების ბრძანებით ყოველ დღე ეძლევათ სურსათი, ხილი და პაპიროსები.—ოსმალური გაზეთები ამბობენ, დიდის მთავრის მოსვლამ განამტკიცა აწ არსებული მეგობრული ურთიერთობაო.

კონსტანტინეპოლი. დიდი მთავარი ელჩ ზინოვიევთან იყო, შემდეგ ამალისა, ელჩისა, საელჩოს წევრთა, გემის უფროსისა და აფიცერთა თანხლებით სალამალექს დაესწრო. მერე სულთანმა მიიღო დიდი მთავარი, ელჩი და სხვა სტუმარნი. საღამოზე დიდმა მთავარმა დაათვალიერა ქალაქის შესანიშნავი ადგილები. დღეს საღამოთი დიდის მთავრის პატივსაცემად დიდი სადილი გაიმართება.

პარიჟი. „ტან“-ი იუწყება, რომ ქ-ნმა ზოლამ სთხოვა დრეიფუსს ჩემის ქმრის დასაფლავებას არ დაესწროთო, რადგანაც დემონსტრაციისა შიშიაო. დრეიფუსი წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა. „პტი რეპუბლიკ“ უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ გასვენების წეს-რიგი მიენდო პოლიციის პრეფექტს. პრეფექტი ხელს შეუშლის თანაგრძნობის დემონსტრაციებს, რომლისთვისაც ემზადებიან მუშები და თავისუფალი მოაზრე რესპუბლიკელნიო. „რადიკალ“-ი ჰკიცხავს დრეიფუსს იმის გამო, რომ მან დასწრებაზე უარი სთქვა. ნაციონალისტთა გაზეთები კვეხნით სწერენ, ჩვენ ვათქმევინეთ დრეიფუსს უარიო.

22 სეკდემბერი

სოფია. რამდენიმე რუსის გენერალი, სობოლევი და მოსოლოვი, ორი დღე იყვნენ სტუმრად სოფიაში და გუშინ წავიდნენ. კუროპატკინი პლევნას იყო, დრაგომიროვი—სისტოვოს; გუშინ საღამოს წავიდნენ, ვარნაზე გაივლიან. ყველგან აღტაცებით ეგებებიან. გრაფ იგნატიევს დღეს მოელიან; დარჩება სამი დღე.

ფილიპოპოლი. გრაფი იგნატიევი სოფიას წავიდა, 50 ათასი კაცი დახვდა. ნადიმი გაუმართეს, ყველგან აღტაცებით ეგებებოდნენ.

სევასტოპოლი. „ოჩაკოვის“ ზღვაში ჩაშვების დროს ზღვაზე გემებმა ზარბაზნები გაისროლეს. ქალაქი მშვენივრად გაჩირაღდნებულია. ხალხის დიდი მოძრაობაა.

ბიისკი. დღეს თოვლს. მდინარეებში წყალმა ძალიან დაიკლო. წყლით საქონელი აღარ იგზავნება. ნიჟნიდან ტიუმენზე გაგზავნილი საქონელი ჯერაც არ მოსულა.

ათინა. ავტომობილი, რომელშიაც მემკვიდრე-პრინცი იჯდა, თხრილში გადავარდა. პრინცს მარჯვენა თვალი და ქვედა ტუჩი დაუშავდა. საშიში არაფერია. ექიმი და მემანქანე მძიმედ არიან დაჭრილნი.

ბელგრადი. ვენის ერთ-ერთ გაზეთისაგან გავრცელებული ხმა, ვითომ სერბიის მეფე-დედოფალი რუსეთს გამგზავრებაზე უარს ამბობენო, მთავრობის წრეებში ტყუილად მიაჩნიათ.

გონაივი (კუნძულს გაიტიზე). გერმანიის სამხედრო გემი „ვინეტა“ მოვიდა და სენმარკის წინ დადგა, რომ შეეტყო, შეკრულია თუ არა გზა, მაგრამ ნამდვილად ვერ გამოიკვლია ეს, რადგან არსად არ სჩანდა გემი, რომელსაც გზა შეკრული უნდა ჰქონოდა. ჰამბურგელი გემი „ვალენცია“ ნავთ-სადგურს ისე შევიდა და იქიდგან ისე გამოვიდა, და ბრკოლება არა უნახავს-რა.

ათინა. პრინცესა სოფიო ეტლით მისდევდა უკან მემკვიდრე პრინცის მოტორს. უბედურების შემთხვევის დროს, ცხენები დაფრთხნენ, მაგრამ მეეტლემ შეიმაგრა. ექიმი დაიბარეს მხლებლებისათვის დასახმარებლად. მემანქანეს ხელი მოსტეხია.

როსტოვი-დონისა. ნაშუადღევის ოთხ საათზედ ცენტრალურს ელექტრონის საზოგადოების სადგურზე ნავთმა იფეთქა და სადგურს ცეცხლი გაუჩნდა. თეატრი, ცირკი, ქარხნები და მაღაზიები უსინათლოდ დარჩნენ. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

სოფია. გრაფ იგნატიევს სადგურზედ მთავრის წარმომადგენელნი, მინისტრები და ქალაქის მოურავი დახვდნენ. აღტაცებით მიეგება. ეტლში ყვავილებს უყრიდნენ. გრაფი და იმისი მეუღლე ისე აალელვა ხალხის მათდამი პატივისცემამ, რომ ცრემლი მოერიათ. ქალაქი ბაირაღებითაა მორთული.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტნ.“-ში დაწვრილებით დაბეჭდილია ის საშუალებანი, რომელნიც შავის ჭირის საწინააღმდეგოდ უნდა იხმარონ ოდესაში. 28 მაისიდგან 19 სეკდემბრამდე სულ 39 კაცი გახდა ავად, დაიხოცა 13 და მორჩა 9.

პეტერბურგი. ფოსტისა და ტელეგრაფის უმთავრეს მმართველობის უფროსი თავის საქმის აღსრულებას შეუდგა.

მიტავა. აქ შეუდგნენ პირველის, რუსეთში სათავად-აზნაურო გვართა შთამომავლობისა და საგერალდო გამოფენის მოწყობას.

სევასტოპოლი. დღეს მათნი უდიდებულესობანი დიდის მთავრინას ოლგა ნიკოლოოზის ასულითურთ 9 ს. და 45 წ. „შტანდარტიდგან“ გადაბრძანდნენ ორთქლ-მავალ გემზე და წაბრძანდნენ ბრატსკოე-კლადბიშჩეზე დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის თანხლებით. მათ უდიდებულესობათ საინჟინერო ნავთსადგურზე გადაბრძანებისას ციხისთავი სტრაჟევი მოხსენებით მიეგება ხელმწიფე იმპერატორს. მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ მაცხოვრის ტაძარში. გზადაგზა ორ-წყებად იდგა სამინდვრო და საციხოვნო არტილერია. წირვა გადიხადეს სასაფლაოს ეკლესიაში. წირვის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ტაძრიდგან გამობრძანდნენ და მიბრძანდნენ სევასტოპოლის ვეტერანთა ჯგუფისკენ. ხელმწიფემ ინება მათთან დალაპარაკება. მათნი უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი ურას ძახილით გააცილეს. ხალხი, რომელიც ბოლაზის ნაპირებზე იდგა, მაღალის ურათი მიეგება მათ უდიდებულესობათ. 12 ს. და 30 წ. საიმპერატორო გემი „შტანდარტი“ ზღვაში წავიდა. სევასტოპოლელთა „ურა“ გაისმა მათ უდიდებულესობათ წასვლაზე. გემი წავიდა იალტისკენ.

კონსტანტინეპოლი. დიდმა მთავარმა სულთანის გემით გაისეირნა პრინცის კუნძულისკენ და მერმე-კი ბრძანდებოდა დიდს ბაზარზე. საღამოს ილდიზ-კიოსკში იყო სადილი და წარმოდგენა. სულთანის ნახვისას დიდმა მთავარმა მიიღო ორდენი „იფტიკარ“ ბრილიანტებით. ამალამ და „გიორგი პობედონოსეცის“ ყველა აფიცრებმა მიიღეს ორდენები. ხვალ სულთანს გამოეთხოვებიან და იალტას გაემგზავრებიან. სულთანის ნახვისას დიდმა მთავარმა რუსულს ენაზე წარმოსთქვა სიტყვა. საელჩოს პირველმა დრაგომანმა იგი გადათარგმნა ფრანგულად, ხოლო ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა—ოსმალურად. სულთანმა დიდს მთავარს სთხოვა გადასცეს ხელმწიფე იმპერატორს სალამი და მისი გულითადი მეგობრობა.

23 სეკდემბერი.

იალტა. გუშინ, 3 საათ. და 35 წამ. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითა და შვილებით „შტანდარტით“ იალტას მობრძანდნენ; მათ მიეგებნენ დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოოზის ძე, იუსტიციის მინისტრი, სახელმწიფო კანცლერი, გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და სხვა მოხელენი. მათმა უდიდებულესობამ ქალაქის მოურავის დავიდოვისაგან პურ-მარილი მიიღო და ღირს ჰყო იგი მოწყალე სიტყვებისა. ხელმწიფე იმპერატრიცას საგუბერნიო და ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მანდილოსნებმა თაიგულები მიართვეს. მათნი უდიდებულესობანი ლივადიას გაემგზავრნენ, ხოლო მათნი უმაღლესობანი, აი-ტოდორს; ნავთ-სადგური და ქალაქი საუცხოვოდაა მორთული. საღამოზე ქალაქი გააჩირაღდნეს.

სევასტოპოლი. გენერალ ბოგდანოვიჩის მიერ გამოცემული ფურცლები ხელმწიფის სურათითა და უმაღლესის სიტყვებით, რომელიც კურსკში იყო თქმული, დაურიგდა შავი ზღვის ფლოტის გემებს, გარნიზონს, მცხოვრებთა და მოწაფეთა—სულ 20,000-ზე მეტი. ნავთ-სადგურის მუშებს დაურიგდა ბოგდანოვიჩის წიგნაკი „გულითადი სიტყვა“.

რეველი. 22 სეკდემბერს ყოვლად უსამღვდელოესმა აგათანგელოსმა მამა იოვანე კრონშტადტელის თანამსახურებით აკურთხა პიუხტიცკის უბნის ეკლესია, ბასორინას მიერ აგებული დიდის მთავრინის მარიამ ნიკოლოოზის ასულის დაბადების დღის აღსანიშნავად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სოფელ პურეხის გლეხებმა დაადგინეს უსასყიდლოდ დაუთმონ ერობას ბუგროვის მიერ ნაბოძევი ადგილი და ორი შენობა; გლეხები სთხოვენ ერობას ამ შენობებში მოაწყონ საავადმყოფო თავად პაჟარსკის სახელობაზე; აგრეთვე დაადგინეს სახელოვან სარდლის გარდაცვალების შემდეგ 300 წლის შესრულების სახსოვრად გადააკეთონ და მისი სახელი უწოდონ სასოფლო სკოლას.

ბერლინი. პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ იმპერატორი ინახულებს ბურების გენერლებს, თუ დიდ-ბრიტანიის ელჩმა გადასცა მათი თხოვნა. მათი ნახვა, ალბად, ოქტომბრის 20-ს მოხდება, (ახალის სტილით).

პარიჟი. ზოლას სახლის შესავალ ოთახში, რომელიც სამგლოვიარო სამლოცველოდ იყო მოწყობილი, კუბო შეამკეს მრავალ საუცხოო გვირგვინით, მათ შორის თავად მონაკოსა, პარიჟის საზოგადოებათა, რუსის სტუდენტთა, „Петербургская Газета“-სა და „Новости“-ს რედაქციებისაგან. ნაშუადღევის პირველ საათზედ კუბო სამგლოვიარო ეტლში ჩაასვენეს; ჯარებმა, თანახმად საპატიო ლეგიონის ორდენის სტატუტისა, პატივი სცეს და ნელის ნაბიჯით გაუძღვნენ წინ კუბოს დალაბანდის კვრით; მათ მიჰყვებოდნენ დელეგატები მუშათა სხვა-და-სხვა ამხანაგობისა. ეს აუარებელი ხალხი მთელი გზა ქუდ-მოხდილი მისდევდა მიცვალებულს. მათ შორის იყვნენ: კომბი, შომი, მონაკის პრინცი, ჟორესი, პიკარი, მატიე, დრეიფუსი, ბრისსონი, რეინაკი და გენერალ პერსენი. მშვენიერი დარი იდგა. უსიამოვნობა არა მომხდარა-რა. სამგლოვიარო პროცესსია 1 საათ. და 20 წამ. მშვიდობით მივიდა სასაფლაოზედ; საფლავთან საერო განათლების მინისტრმა შომიმ დიდად შეაქო ზოლას ღვაწლი, როგორც მწერლისა, და აღნიშნა, რომ განსვენებული არ მოერიდა ბრბოს სიძულვილსა, როდესაც ხმა-მაღლა და გამოესარჩლა მას, რაც სწორადა და სამართლიანად მიაჩნდაო. შომის შემდეგ მწერალთა კავშირის სახელობით ილაპარაკა აბელ გერმანმა, და შემდეგ ანატოლ ფრანსმა. სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კუბო აკლდამაში დაასვენეს. მეგობართა და მიპატიჟებულთა წყნარად გაიარეს მიცვალებულის ოჯახობის წინ; მათ მიჰყვნენ აუარებელი დელეგაციები და მშვიდობიანად გაიარეს. დელეგატებმა შეამკეს საფლავი გვირგვინებითა და „უკვდავ“ ყვავილების თაიგულებით და ჰყვიროდნენ: „პატივი და დიდება სამართლიანობისა და სიმართლის მოციქულსაო“. დასაფლავებას დაესწრო ალფრედ დრეიფუსი და იქ დაჰყო სანამ სიტყვებს ამბობდნენ. ბრბომ ვერ იცნო იგი. სიტყვების ჩამოთავების შემდეგ იგი შეუმჩნევლად წავიდა. სასაფლაოდან დაბრუნებისას ხალხი აღტაცებით მიეგება ჟორესს, პიკარს, ლაბორის, პრესანსეს, რეინაკსა და ვოგანს. პოლიციამ რამდენჯერმე გაჰფანტა მანიფესტანტები. რესპუბლიკელთა გვარდიამ დაშალა მცირე ყრილობანი; დიდი უსიამოვნობა არა მომხდარა-რა. დაიჭირეს 7 კაცი, მაგრამ მხოლოდ ორი დააპატიმრეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჟორესის პატივსაცემლად გამართულმა მანიფესტაციამ: სანამ ეტლში არ ჩაჯდა იგი, თან მისდევდა 8,000-ზე მეტი კაცი. სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსმა პერსენმა განუცხადა გრაფ კასტელანს. ის ხმა ვითომ ზოლას სახლში დრეიფუსს შეხვედროდეს, ჭორზედაა დაფუძნებულიო.

პიტერმარიცბურგი. ნატალში გაუქმებულ იქმნა სამხედრო წესები, ზოგიერთ გამოკლებით მხოლოდ მათ შესახებ, რომელნიც სამხედრო დროის კანონით იყო გასამართლებული.

ავრშავა. ნოემბრის პირველიდან დაიწყებს მიმოსვლას ორი სახალხო მატარებელი ვარშავასა და კალიშს შუა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
ჯარიჟში ,,	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87¼ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅜ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ძმ. პაებინობელის სანავთო მრეწვ.	—
იები აქც ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	169 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	363½ წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნალვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნალვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ.
Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილებს.

უეკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვაწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რითი შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екаиненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინის	1	„
ვეღურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.